ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ01.012032312**
თარიღი:**18/11/2020**
პინი:**1889**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.040, ნაკვეთი N123/13) ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01203072155-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.040, ნაკვეთი N123/13) ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01203072155-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01203231**
თარიღი: **18/11/2020**
პინი: **1853**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01203072155-67
განცხადების თარიღი:	02/11/2020
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.20.01.123.040
მისამართი :	ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა გურამიშვილი , N 7 , (ნაკვეთი N123/13)
მესაკუთრეები :	"საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნათელა ფერიაშვილი
პირადი ნომერი :	01010014044
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თამარ მეფის I შესახვევი, N 16
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ირაკლი პეტრიაშვილი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	450.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ გახიხილოთ სპეციალური ზოხალური ხებართვის გაცემის საკითხი, სარეკრეაციო ზონა 2-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, როგორც საგამონაკლისო დასაშვები სახეობის განსათავსებლად
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქ. #7 (ნაკვეთი #123/13). მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.20.01.123.040, ფართობია 1315კვ.მ. მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ახალდაბოს შესახვევი, სამხრეთის მხრიდან ახალდაბის ქუჩა, დასავლეთის მხარეს მიწის ნაკვეთები დაბალი ინტენსივობის 2 სართულიანი (3 ბინიანი) საცხოვრებელი სახლით, ჩრდილოეთ ნაწილში მიწის ნაკვეთი რომელზეც განთავსებულია 3 ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. მიწის ნაკვეთი მცირე დახრილობისაა, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, და არსებული მდგომარეობით აქტიურად გამწვანებულია როგორც ფოთლოვანი (ხეხილი) ასევე მარადმწვანე მრავალწლიანი ხეებით. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება 2 ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ში შესაძლებელია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება როგორც საგამონაკლისო დასაშვები სახეობისა, რისთვისაც უნდა გაიცეს სპეციალური ზონალური შეთანხმება. ჩვენს მიერ წარმოდგენილია ქალაქგეგმარებითი კვლევა, რომელიც მოიცავს საპროექტო მიწის ნაკვეთის გარშემო არსებული ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებისა და არსებული დოკუმენტური მონაცემების ანალიზს. კვლევის შედეგად დგინდება რომ მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი განაშენიანებულია საცხოვრებელი ფუნქციის შენობებით, ამასთან არსებული განაშენიანების სახეობები შეუსაბამოა დადგენილი ფუნქციური ზონების მოთხოვნებთან (სარეკრეაციო ზონა 2; საცხოვრებელი ზონა 1). წარმოდგენილი წინადადებით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე 4 მცირე ზომის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, სარეკრეაციო ზონა 2-ის დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დაცვით, ასევე არსებული გამწვანების გათვალისწინებით. საპროექტო განაშენიანება ფუნქციურად, მასშტაბითა და მოცულობითი გადაწყვეტით არ არღვევს არსებული საცხოვრებელი უბნის ხასიათსა და მასშტაბს, შესაბამისად მისაღებად მივიჩნევთ სარეკრეაციო ზონა 2-ის ფარგლებში ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, როგორც საგამონაკლისო დასაშვები სახეობით განვითარებას.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
	N01.20.01.123.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას. პარალელურად სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ად ცვლილების მოთხოვნით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)** არის სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ''

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გადაწყვეტილების დასაბუთება :	ქვეპუნქტის თანახმად, **სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2)** დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.2 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= --- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3= 0.8 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - --- მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - --- შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე: 12 მეტრი*** *** **ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისათვის** * **2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის** სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაშვებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობებიდან ერთ-ერთს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. საპროექტო მიწის ნაკვეთთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ახალდაბის ქუჩიდან. ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალდაბის I შესახვევი, დასავლეთიდან გერძო საკუთრებად რეგისტრირებული საკადასტრო ერთეული, ხოლო ჩრდილოეთიდან სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული საკადასტრო ერთეული, მასზე განთავსებული საცხოვრებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობებით. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, მათი N18-01203211612 16/11/2020 წერილის თანახმად სამსახური თანახმაა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის, როგორც საგამონაკლისოდ დასაშვები სახეობის, განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. განმარტებითი ბარათის თანახმად გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე 4 მცირე ზომის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, სარეკრეაციო ზონა 2-(რზ-2)-ის დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დაცვით, ასევე არსებული გამწვანების გათვალისწინებით. საპროექტო მიწის ნაკვეთი საკმაოდ გამწვანებულია, ნაკვეთზე ფიქსირდება, როგორც ხეხილი ასევე წიწვოვანი ხე-ნარგავები, შესაბამისად შენობა-ნაგებობის განთავსებისას მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული არსებული გამწვანება, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დასკვნა :	შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. საპროექტო მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისასვლელი სამანქანო გზით, საკვლევი არეალი განაშენიანებულია საცხოვრებელი სახლებით, ნაკვეთის ფართობი და ხაზოვანი ზომები იძლევა შესაძლებლობას მასზე განთავსდეს საცხოვრებელი სახლები, ისე რომ შენარჩუნდეს გამწვანება. ზემოთქმულის გათვალისწინებით სააგენტოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა შესაძლებლად მიაჩნია.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-2378-21
22-01-2021

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების
თავმჯდომარის რწმუნებულს ნათელა ფერიაშვილს
ტელ: 595544223

ქალბატონო ნათელა,

თქვენი მიმდინარე წლის 13 იანვრის №01-13-2378-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ. N7-ში მდებარე ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.20.01.123.040) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი დაბალი წნევის D=70 მმ-იანი და საშუალო წნევის D=80 მმ-იანი მიწისზედა მილსადენები.

ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი მშენებლობა, თუ აღნიშნულ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი- 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

474000

1:400



პირობითი აღნიშვნები

შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისზედა გაზსადენი

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.20.01.123.040

თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY

474000

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№ 06-21-04489773 D 04.03.2021

ქალბატონ ნათელა ფერიაშვილს
მისამართი: ყიფშიძის ქ. N98
ელ-ფოსტა: pheriashvilinatia@gmail.com; a_jobava@yahoo.com
ტელეფონი: 595 54 42 23; 597 98 44 45

ქალბატონო ნათელა,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში „კომპანია") განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში" რეგისტრირებული IN21-0488420, დათარიღებული 26/02/2021წ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.20.01.123.040) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის" შესაბამის სამსახურთან. „კომპანია" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის" წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; გ. მურღულია
ელ-ფოსტა: jchachkhalia@gwp.ge; gmurgulia@gwp.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

IN 21-0488420



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com
PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com
PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სილქნეტი
SILKNET

№ 24/24-9 20 01 2021

მოქ. ნათელა ფერიაშვილს
მის: დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა, #7
ტელ: (+995) 595 54 42 23

ქალბატონო ნათელა,

თქვენი ა. წ. 14 იანვრის #9/94 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე(დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა, #7(ს/კ 01.20.01.123.040)) სს „სილქნეტის" კუთვნილი კომუნიკაციები არ ფიქსირდება.

სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები აღნიშნულ ტერიტორიაზე ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტის" კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, განმცხადებელი (სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
- აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტის" წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული მართვის სამსახურის ნომრებზე: (+995 32) 2950029 ან 2932740.
- წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com